

უწყვეტ გარემოთა მომენტური თეორია

მირანდა გაბელაია

ელ-ფოსტა: miranda.gabelaia446@ens.tsu.edu.ge

მათემატიკის დეპარტამენტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
უნივერსიტეტის ქ. No 2, 0186 თბილისი, საქართველო

სამეცნიერო ლიტერატურაში დრეკადობის მომენტური თეორია გვხვდება სხვადასხვა სახელწოდებით: ასიმეტრიული დრეკადობის თეორია, კოსერების (ჩოსსერატს') თეორია, დრეკადობის თეორია ნაწილაკების ბრუნვითი ზემოქმედებით, *მიკროპოლარული დრეკადობის თეორია*, არალოკალური დრეკადობის თეორია, მეორე კლასის გარემოთა დრეკადობის თეორია.

დრეკადობის მომენტური თეორია არ წარმოადგენს კლასიკური დრეკადობის თეორიის მათემატიკურ განზოგადებას თეორიული ინტერესიდან გამომდინარე. მის შექმნას ბიძგი მისცა, მაგალითად, იმან, რომ მოკლე აკუსტიკური ტალღების გავრცელება მაღალი რიგის პოლიმერებში და სხვა მსხვილ მარცვლოვან სხეულებში არადამაკმაყოფილებლად აღიწერება კლასიკური დრეკადობის თეორიის ფარგლებში.